საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დაგისთე

დაგისთე, ბიზანტიელი სარდალი (VI ს.).

549 იუსტინიანე I-მა დ. 7000 ბიზანტიელ და 1000 ჭან მეომართან ერთად გაგზავნა ეგრისში (ლაზიკაში) ლაზების დასახმარებლად და ირანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. დ-მ ალყა შემოარტყა ეგრისის ციხე-ქალაქ პეტრას (ციხისძირი), მაგრამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი პირობები პეტრას ასაღებად. როგორც კი იქ ირანელთა სარდლის მერმეროეს ჯარი გამოჩნდა, ალყა მოხსნა და იქაურობას გაეცალა.

შემდეგ ეგრისის მეფე გუბაზ II-თან ერთად გაილაშქრა მერმეროეს ჯარის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. ეგრისელებმა პეტრას ალყის მოხსნის გამო დ-ს ღალატსა და დაუდევრობაში დასდეს ბრალი და კეისართან დაასმინეს.

550 იუსტინიანემ დ. ციხეში ჩასვა.

წყარო: პროკოპი კესარიელი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 2,*თბ., 1965.*

დ. ლეთოდიანი